

ვ ა ნ შ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს მთავრობასა და სომხეთის მთავრობას შორის
საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ 1997 წლის მაისს
ქ. ერევანში ხელმოწერილ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

1997 წლის მაისს ქ. ერევანში ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის "საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ". აღნიშნული შეთანხმების მე-4 მუხლის პრეამბულის თანახმად მხარეთა ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ნებართვების საფუძველზე ასრულებენ რეგულარულ სამგზავრო გადაყვანებს და საგვირთო გადაზიდვებს კვოტების ფარგლებში განთავისუფლებულნი არიან მეორე მხარის ტერიტორიაზე შესვლისას არსებული გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან, რაც ყოველად მისაღებია და საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე მოქმედებს მრავალ ქვეყანაში. ამავე მუხლის მე-3 ქვეპუნქტი ეწინააღმდეგება შემოთაღნიშნულ პრინციპებს, რამაც გამოიწვია დიდი გაუგებრობა და ჩვენ ორ ქვეყანას შორის მოქმედი სანებართვო სისტემამ საერთოდ დაკარგა აზრი. აქედან გამომდინარე როგორც საქართველოს ასევე სომხეთის მხარემ გადაწყვიტა შეიგანოს ცვლილებები "საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ" სამთავრობათაშორისო შეთანხმებაში, რათა ხელი შეუწყონ ჩვენ ორ ქვეყანას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლისა და სანებართვო სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას.

ყოველივე შემოთაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჰიგვანია მიეცეს მსვლელობა ორმხრივი შეთანხმების ოქმს ჰიდასახელმწიფოებრივი პროცედურების გასატარებლად.